საქართველოში სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების დაფუძნების საჭიროების შესახებ

ზაირა ღუდუშაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მარიკა ოქრომჭედლიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

https://doi.org/10.52340/gbsab.2025.54.02

საკვანძოსიტყვები: სკოლა-ინკუბატორები; სამეწარმეოაზროვნება; ინკლუზიური ბიზნესი.

შესავალი

საქართველოში 2023 წელს რეგისტრირებული იყო 921450 საწარმო, მათგან მუშაობდა, ანუ აქტიური იყო მხოლოდ 224538, ანუ რეგისტრირებულთა 24,3%, დანარჩენი - 75,7% კი არ მუშაობდა [ბიზნეს სექტორი... 2024, გვ. 23, 26]. იგივე ვითარება იყო წინა წლებშიც:

2022 წელს არ მუშაობდა რეგისტრირებულ საწარმოთა 76,7%.

2021 წელს არ მუშაობდა რეგისტრირებულ საწარმოთა 78,4%.

2022 წელს არ მუშაობდა რეგისტრირებულ საწარმოთა 78,5%.

2019 არ მუშაობდა რეგისტრირებულ საწარმოთა 77,4% და ა. შ.

საქართველოს ეკონომიკაში არის სულ რაღაც 3-4 დარგი, რომელთა რეგისტრირებულ საწარმოთა ნახევარი მაინც მუშაობს. ესენია: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (54%), განათლება (47%), უძრავი ქონებით ვაჭრობა (55%) და მშენებლობა (45%). შექმნილი სიტუაცია გვაფიქრებინებს, რომ ამ სიტუაციას იწვევს ბიზნესის დაწყების მსურველთა არაპროფესიონალიზმი. ამ სტატიას ვუძღვნით ამ საკითხს და იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ორგანიზაციას გაუკეთებს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ წინადადებას.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების ქსელის დაფუძნება-განვითარების ჩვენი კონცეპტუალური ხედვა მიმართულია პოტენციალურ მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის პრაქტიკული მეწარმული უნარების შესაძენად. ასეთ სკოლა-ინკუბატორებში რიგითი ადამიანების პრაქტიკოს მეწარმეებად მომზადებით საქართველოს ბიზნეს ვუზრუნველყოფთ ბიზნესის მცოდნე ადამიანებით და ისტორიას ჩაბარდება ამ სფეროში საქართველოში დღეს არსებული ვითარება, რომ საწარმოები იხსნება, მაგრამ არ (თუ ვერ) მუშაობენ.

ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ და დავასაბუთოთ საქართველოს ღარიბი და უღარიბესი ფენის ჩართვის შესაძლებლობები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესში და, ამ გზით გამოვიყვანოთ ისინი სიღარიბიდან. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქვეყნის ღარიბი და უღარიბესი ფენა დისკვალიფიცირებულია. ბიზნესში მათ ჩასართავად, საჭიროა ისინი მოვამზადოთ მათთვის სპეციალურად გახსნილ ინკლუზიურ სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორებში.

ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ონკუბატორი ჩვეულებრივი ბიზნეს-ინკუბატორია. ჩვენ მას ინკლუზიური იმიტომ ვუწოდეთ, რომ მასში კლიენტების სახით,

მხოლოდ ღარიბები (და უღარიბესნი) გვეყოლებიან ჩართულნი.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ შეუძლებელია სიღარიბის დაძლევა საქართველოში, თუ არ განვითარდება მცირე და საშუალო მეწარმეობა, რომლის „ამძრავ ძალას“ წარმოადგენს სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორები. ასე რომ, სამე¬წარმეო სკოლა-ინკუბატორების შექმნა-განვითარება, როგორც კერძო ღონისძიება, არ არის მოწყვეტილი „საქართველოს ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიას“ და არც „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამას“, რომლებიც ჯერ კიდევ დამუშავდა 2001-2002 წლებში და დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ასამოქმედებლად ამავე პერიოდში, მაგრამ სამწუხაროდ სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორები ქვეყანაში არ გახსნილა (გამონაკლისია ტექნოპარკში შექმნილი მცირე ინკუბატორი, ის ახალი იდეების მქონე ადამიანებზე არის ორიენტირებული). შედეგად, წინამდებარე ხედვა - „საქართველოს რეგიონებში სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების ქსელის განვითარების შესახებ“ კონკრეტული ამოცანის - სიღარიბის დაძლევის გადაჭრით არსებით წვლილს შეიტანს საქართველოს რეგიონების ღარიბი მოსახლეობის დასაქმების, მათი კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა-დამკვიდრების საქმეში. მაშასადამე, მოცემული ხედვა სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ განაცხადთან, რომელიც ეხება ქვეყნის ინკლუზიურ ზრდას და სიღარიბის დაძლევას.

საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების შექმნის ჩვენი ხედვა არის პირველი მცდელობა ამ სფეროში. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია იმისა, რომ იგი აღარ მოითხოვს შემდგომ განახლებას. პირიქით, იგი მუდ¬მივად განახლდება და კორექტირდება საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით.

სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორის ცნება და სტატუსი [ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე., 2004, გვ. 81]. მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორის უნივერსალური განმარტება მსოფლიო მასშტაბით ოფიციალურად დაფიქსირებული არ არის (საერთოდ არ არსებობს ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორის განმარტებაც), მას მაინც მიიჩნევენ იმ ორგანიზაციათა დასახელებად, რომლებიც ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნით, მომსახურების კომპლექსის გაწევითა და რესურსების გამოყოფით ავითარებენ მეწარმეობას მისი ჩამოყალიბების საწყის (ადრეულ), ანუ საინკუბაციო სტადიაზე. საერთოდ, მსოფლიოში გავრცელებულია ბიზნეს-ინკუბატორების განმარტების მრავალნაირი ინტერპრეტაციები, მაგალითად:

სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების განვითარების მიზნები, ამოცანები და ძირი¬თადი პრინციპები. საქართველოს რეგიონებში ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების განვითარებას საერთო, გრძელვადიანი მიზანი იმაში მდგომა¬რეობს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურებით უზრუნველყონ ქვეყნის მხარეების მდგრადი ეკონომიკური განვითარება. სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების კონკრეტული მიზანი კი არის დამწყებ, ახალბედა მეწარმეთათვის სწავლისა და მუშაობის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მათი ინფორმაციული, კონსანტილგური, ტექნიკოტექნოლოგიური, მატერიალურ-ფინანსური და ა. შ. მხარდაჭერა.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოს რეგიონებში ინკლუ-ზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების შექმნამ შემდეგი ამოცანები უნდა გადა-წყვიტოს:

- ასწავლოს უმუშევრებს ბიზნესი, რომ მათ შექმნან ფირმები;
- შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და ამ გზით, შეამციროს უმუშევ¬რობის დღევანდელი დონე;

- განავითაროს საბაზრო ინფრასტრუქტურა;
- გააფართოვოს მეწარმეობის ინვესტიციური შესაძლებლობები;
- გააფართოვის საგადასახადო ბაზა (რაც მეტი იქნება საწარმო, მით მეტი შევა ბიუჯეტში გადასახადი);
- მოახდინოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია;
- გაუმჯობესოს ღარიბ მეწარმეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა;
- აამაღლოს მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა საშინაო და საგარეო ბაზარზე;
- აღჭურვოს ღარიბი მცირე მეწარმეები ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიით, მენეჯ-მენტისა და მარკეტინგის ცოდნით;
- მოახდინოს საქართველოს რეგიონების განვითარების დონეების გამოთანაბრება და ა.შ.

მსოფლიო მასშტაბით, სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების მომსახურების ერთიანი ნუსხის არარსებობის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად იგი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ [ხაბელაშვილი თ., 2018, გვ. 149-1050]:

1. ბიზნესის შესწავლის მსურველთა სიების შედგენა.
2. მასწავლებლების და მენტორების არჩევა.
3. მარტივი ბიზნესის სწავლების ორგანიზება აბიტურიენტებისთვის.
4. აბიტურიენტების მომზადება ბიზნესის ორგანიზაციისა და საწარმოთა ზრდა-განვითარების საკითხებში რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.
5. პრაქტიკული დახმარება საკუთარი მცირე საწარმოს გახსნაში და მის შესახებ რეკლამის გაკეთება.
6. ახლად გახსნილ საწარმოთათვის კადრების მომზადება (როგორც კვალიფი-კაციის ამაღლება, ისე პროფესიონალების მოძიება და მიწოდება).
7. კონტრაქტების დარეგულირება, ახალი საქმიანი კავშირების დამყარება, ახალ ბაზრებზე გაყვანა.
8. კონფერენციების, სემინარების, გამოფენების მოწყობა ან მონაწილეობა მათ მოწყობაში, საქმიანი შეხვედრების ორგანიზაცია.
9. მდივან-რეფერენტული მომსახურების გაწევა, საერთაშორისო მიმოწერაში დახმარება.
10. კლიენტების განთავსების ტერიტორიის კეთილმოწყობა, მათთვის გაზმომა-რაგება, წყალმომარაგება, ენერგომომარაგებაში დახმარება;
11. კრედიტების მიღებაში დახმარება (გარანტად დადგომა), საწესდებო კაპი-ტალის შევსება (შემდგომში საწარმოს მიერ ინკუბატორის წილის გამოსყიდვის პირობით), სასტარტო კაპიტალის მიცემა და სხვ.

სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების საქმიანობის განმსაზღვრელი რეგიონის (ქალაქის, რაიონის) ადგილობრივი ეკონომიკის პროფილი უნდა იყოს. ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, არათუ სხვადასხვა რეგიონის, არამედ სხვადასხვა რაიონის სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორებსაც კი არ ექნებათ ერთნაირი პროფილი. (მაგ., თბილისში ძირითადად, სავაჭრო, საბანკო, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები იქნება, სამხრეთ საქართველოში - სამთო-მომპოვებელი მრეწველობის, შიდა ქართლში - სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის და ა. შ.). ეს სპეციფიკა საფუძვლად უნდა დაედოს სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორის მიერ აბიტურიენტებისთვის გაწეულ მომსახურებასაც.

წარმატებული საქმიანობისთვის სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორს არანაკლებ 500 კვ. მ. ფართობის შენობა-ნაგებობები უნდა ჰქონდეს. ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია საქართველოს რეგიონებში დასახელებული სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების დაფუძნების დროს.

რეგიონებში დასახელებული მოდელი, ჩვენი აზრით, 6 ეტაპად დამუშავდება:

1. მოდელის მუშა-პროგრამის შედგენა.

2. ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების პროექტის შედგენა.

3. ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების გახსნა-განვითარების მოთხოვნილებებისა და რესურსების განსაზღვრა.

4. ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების გასახსნელად მეთოდიკისა და ტიპიურ დოკუმენტთა პაკეტის შედგენა და განთავსება ვებ-გვერდზე.

5. ბიზნესის სწავლის მსურველ აბიტურიენტების შერჩევა და მათთან ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების ურთიერთობის ტექნოლოგიის დამუშავება.

6. ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორებისთვის რესურსების გამოყოფა და მათი პრაქტიკული დაფუძნება.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, სამუშაოს დიდი ნაწილი ანალიტიკურ აზროვნებასა და მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს, ამიტომ ეს სამუშაოები საქართველოს ქალაქებში უნდა შეასრულონ არა ადგილობრივი მართვის აპარატის მუშაკებმა (ეს მათ დროსაც წაართმევს, ძირითადი ფუნქციების შესრულებაშიც შეუშლის ხელს და შესრულებული სამუშაოც არ იქნება ხარისხიანი), არამედ, მეცნიერებმა, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩევიან. მოწვეულ ექსპერტთა რეიტინგის დონე, რომელიც საფუძვლად დაედება სპეციალისტების შერჩევას, უნდა განისაზღვროს ამ სფეროში მეცნიერთა ნაშრომებითა და პრაქტიკული საქმიანობით. ჩვენი კონცეპტუალური მოსაზრებები საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის, სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების სტატუსის, ტიპების, მომსახურების ფორმების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, დაფინანსების წყაროების და სხვათა შესახებ ასეთია:

პირველი და ყველაზე ძირითადი ის არის, რომ მართალია საქართველოს რეგიონალური ცენტრების - თბილისი, ქუთაისი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი და ა.შ. მერიებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორები ქალაქში მეწარმეობის განვითარების და ამ გზით, ქალაქის ეკონომიკის გაჯანსაღებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა, მაგრამ ამ საქმის მარტო სურვილის დონეზე გაცნობიერება არ კმარა. ჩვენი აზრით, რეგიონების ცენტრალური და მსხვილი ქალაქების მერიებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ ქალაქში ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების განვითარების მუშა-პროგრამები, რომლის შესრულება უზრუნველყოფილი იქნება სათანადო რესურსებით (დრო, კადრები, ფული) და რომელშიც ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების მსოფლიო გამოცდილებისა და შესაბამისი ქალაქის (თბილისი, ბათუმი და ა.შ.) სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივ-საწარმოო საჭიროებათა და თავისებურებათა გათვალისწინებით, დაფიქსირდება ამ საკითხში ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლების სტრატეგია.

სასურველია, საქართველოს რეგიონების ცენტრალურ და მსხვილ ქალაქებში უმოკლეს ვადებში ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების პროექტებისა და პროგრამების შესადგენად, შედგეს ჯგუფები და მათ გადაეცეს ამ საკითხზე შესაბამისი ქალაქების მუნიციპალური ხელისუფლების პოლიტიკური ნება.

მეორე და ასევე მნიშვნელოვანი საკითხია, ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების საქმიანობის მარეგულირებელი საკანონდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა, ან არსებულის სრულყოფა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების შესახებ სპეცია-

ლური კანონი არცერთ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში არ არსებობს, მაგრამ ეს დოგმა არ არის და დასაშვებია რომ საქართველოს იგი ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, დროისა და სახსრების დაზოგვის მიზნით, ჩვენი აზრით, უფრო უმჯობესია, სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების რეგულირება მოხდეს საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“. ამ მიზნით, მოცემულ კანონში ცალკე თავებად უნდა შევიდეს „სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორები და მათი მუშაობის ორგანიზაცია“, რომელშიც დაფიქსირდება მათი იურიდილი სტატუსი, უფლებები მოვალეობები, დაფინანსების წყაროები და სხვა. ერთი სიტყვით, ამ კანონმა საქართველოში უნდა არეგულიროს არა მხოლოდ მეწარმეობა საერთოდ, არამედ, ინკლუზიურ სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების განსაკუთრებულ რეჟიმში ფუნქციონირებაც.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში გახსნილ სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების იურიდიული სტატუსი რეგლამენტირებული არ უნდა იყოს. ინკუბატორი შეიძლება იყოს სამთავრობო ორგანიზაციაც (განსაკუთრებით მუნიციპალური) და არასამთავრობოც და კერძო საწარმოც. ამ მექანიზმის ჩამოყალიბების ინიციატორების ყველაზე დიდი შანსი ქალაქების მუნიციპალურ სტრუქტურებს (ცხადია, იმ პირობებში, თუ მას მუნიციპალური ბიუჯეტი დააფინანსებს) აქვთ, რადგან ისინი ყველაზე კარგად იცნობენ ადგილობრივ უმუშევარ ახალგაზრდებს, მათ სამეწრმეო უნარს, მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს ამ საკითხში. მეორე ადგილზეა არასამთავრობო ორგანიზაციები. თუ საქართველოს ქალაქებში მუნიციპალური ბიუჯეტები ვერ შეძლებენ სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების დაფინანსებას, მაშინ, ჩვენი აზრით, პირველი ადგილი აღნიშნულ საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა დაიკავონ, რომლებსაც ამ მიზნისთვის გარანტიების მოპოვების დიდი შესაძლებლობა გააჩნიათ.

ასევე ჩვენი აზრით, ჯერჯერობით ნაკლები იქნება კერძო სტრუქტურების ამ საქმით დაინტერესება, რადგან მათ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საკმარისი ფინანსური რესურსები არ გააჩნიათ. მათგან ასეთ ინიციატივას უფრო მოგვიანებით უნდა ველოდოთ.

განურჩევლად იმისა, თუ ვინ გახსნის ინკლუზიურ სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორს - სამთავრობო, არასამთავრობო, თუ კერძო სტრუქტურა, საქართველოში მათი მომსახურება უნდა იყოს უფასო, რადგან მათი აბიტურიენტები ღარიბებია. შეიძლება იმის დაწესებაც, რომ მათ სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორს მისთვის გაწეული საინკუბაციო ხარჯები აუნაზღაურონ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი ფეხზე დადგებიან და ინკუბაციის პერიოდში მიღებული სწავლისა და სხვა მომსახურების შედეგებს პარქტიკულად მიიღებენ, ანუ როცა ფირმებს გახსნიან.

საქართველოში თერთმეტი რეგიონია (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე), ესენია: ქ. თბილისი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ცენტრი ქ. ბათუმი), გურია (ცენტრი ქ. ოზურგეთი), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (ცენტრი ქ. ამბროლაური), სამეგრელო-ზემო სვანეთი (ცენტრი (ქ. ზუგდიდი), იმერეთი (ცენტრი ქ. ქუთაისი), კახეთი (ცენტრი ქ. თელავი), მცხეთა-მთიანეთი (ცენტრი ქ. მცხეთა), სამცხე-ჯავახეთი (ცენტრი ქ. ახალციხე),ქვემო ქართლი (ცენტრი ქ. რუსთავი), და შიდა ქართლი (ცენტრი ქ. გორი). აღნიშნულ რეგიონებსა და მათში შემავალ დასახლებულ პუნქტებს განვითარების სხვადასხვა დონეები აქვთ - ზოგს მაღალი (ქ. თბილისი, ქვემო ქართლი, იმერეთი და სხვ.), ზოგს დაბალი (სამცხე-ჯავახეთი, გურია და სხვ.). იქ, მოსახლეობაც ამ დონეზე ცხოვრობს ზოგან დიდი სიღარიბეა, ზოგან შედარებით ნაკლები. სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორები იმ საშუალებად გვესახება, რომელთა მეშვეობით მოხდება საქართველოს რეგიონების განვითარების დონეების ერთგვარი გამოთანაბრება. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ჯერ საქართველოს

რეგიონულ ცენტრებში - ქ. თბილისი, ქ. ბათუმი, ქ. ოზურგეთი, ქ. ამბროლაური, ქ. ზუგდიდი, ქ. ქუთაისი, ქ. თელავი, ქ. მცხეთა, ქ. ახალციხე, ქ. რუსთავი და ქ. გორი, შედეგ კი ყველა მსხვილ ქალაქში (სამეგრელო - ზემო სვანეთში - ქ. ფოთი, იმერეთში - ქ. ტყიბული, ქ. წყალტუბო, ქ. ჭიათურა, ქ. ზესტაფონი და ქ. სამტრედია, კახეთში - გურჯაანი და სიღნაღი, სამცხე-ჯავახეთში - ახალქალაქი, ქვემო ქართლში - ქ. ბოლნისი, შიდა ქართლში - ქ. ხაშური) შეიქმნას თითო შერეული პროფილის ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორი.

მაშასადამე, ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. რუსთავსა და ქ. ქუთაისში ორ-ორი სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორი გაიხსნება (ერთი მაღალტექნოლოგიებზე სპეციალიზებული, მეორე - საბაზო, ან შერეული პროფილის), ყველა დანარჩენ ქალაქში კი - თითო (საბაზო).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბაზო ბიზნეს-ინკუბატორები შერეული პროფილის იქნებიან, მაგრამ მათთან აუცილებლად გამოიკვეთება პროდუქციის წარმოების თუ მომსახურების გარკვეული სახე, რომელიც პრიორიტეტული იქნება მოცემულ რეგიონში და აქედან გამომდინარე, მასზე დასპეციალიზებული საწარმოები დომინირებულ მდგომარეობას დაიკავებენ რეგიონის საბაზო ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორებში. აღნიშნული პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველი იქნება - მოცმულ პროდუქციაზე (მომსახურებაზე) მოთხოვნა გარე და შიდა ბაზარზე, მისი წარმოების ადგილობრივი რესურსული შესაძლებლობები, რეგიონის სამეურნეო ტრადიციები და მრავალი სხვა ფაქტორი. მხედველობაში მიიღება აგრეთვე იმპორტშემცვლელი და საექსპორტო პროდუქციის (მომსახურების) წარმოების შესაძლებლობა რეგიონში.

გამოკვლევებით დადგინილია [ხაბელაშვილი თ., 2018, გვ. 157], რომ საქართველის რეგიონები პროდუქციის (მომსახურების) წარმოების მეტად ურთიერთგანსხვავებულ პირობებსა და სამეურნეო ტრადიციებს ფლობენ. მაგალითად, კახეთის მხარე მევენა-ხეობა-მეღვინეობითაა ცნობილი, შიდა ქართლი - მეხილეობით და ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი მრეწველობით, ქვემო ქართლი - მებოსტნეობით და სამთო-მომპოვებელი მრეწველობით, მცხეთა-მთიანეთი - საგარეუბნო მებოსტნეობით, მესაქონ-ლეობითა და მესაქონლეობის პროდუქტების წარმოებით, გურიის მხარე - ციტრუსით, ჩაით და მეთხილეობით, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - ტურიზმით, სამკურნალო მცენარეებით, მესაქონლეობით, მინერალური და სამკურნალო წყლების ჩამოსხმით, იმერეთი - მრეწველობით (საშენ მასალათა, მსუბუქი, კვების, სამთომოპოვებითი მრეწველობა და ა.შ.), სამეგრელო-ზემო სვანეთი - ტურიზმით, მესაქონლეობით, მეჩაიეობით და ჩაის მრეწველობით, აჭარის მთიანი ნაწილი - მეთამბაქოებით, მესაქონლეობით, მეციტრუსეობით, ხოლო ზღვისპირა ნაწილი - ტურიზმით, სამცხე-ჯავახეთი - მესაქონლეობით, მესაქონლეობის პროდუქტების წარმოებით და ტურიზმით. იქ მცხოვრებმა ღარიბმა მოსახლეობამაც მხოლოდ ის იცის, რისი განვითარების რესურსიც იქ არის. რაც შეეხება ქ. თბილისს, აქ მრეწველობაცაა განვითარებული და მომსახურებაც, განსაკუთრებით საბანკო, სავაჭრო, სადაზღვევო და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი და სხვა ქართველი მეცნიერების აზრია [ხაბელაშვილი თ., 2018, გვ. 158], ის საერთო დასკვნა, რომ საქართველოს რეგიონებში მომავალშიც მეურნეობის ის დარგები და ქვედარგები (განურჩევლად იმისა, წარმოებაა იგი, თუ მომსახურება) უნდა განვითარდეს, რომელზეც მოთხოვნილებაც არსებობს და ადგილობრივი რესურსიც. ამდენად, კახეთის მხარე კვლავაც უნდა დარჩეს მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონად, გურია - მეჩაიეობის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - ტურისტული მომსახურების, მცხეთა-მთიანეთი -

საგარეუბნო მებოსტნეობის, მესაქონლეობისა და მესაქონლეობის პროდუქტების წარმოების რეგიონად და ა. შ.

ცხადია, საქართველოს თითოეულ მხარეში გახსნილი საბაზო ინკლუზიური სამე-წარმეო სკოლა-ინკუბატორები, როგორც უკვე აღნიშნეთ, ძირითადად, იმ მცირე სიდიდის საწარმოებით უნდა დაკომპლექტდნენ, რომლებიც რეგიონისთვის პრიო-რიტეტულ დარგებში იმუშავებენ, არ გამოვრიცხავთ გამონაკლის შემთხვევებსაც.

წინამდებარე ხედვა წარმოადგენს ქვეყნის რეგიონულ ცენტრებსა და ყველა დანარჩენ დიდ ქალაქში ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების განვითარების ჩვენეულ ხედვას. იგი საფუძვლად უნდა დაედოს მეწარმეობის მხარდაჭერით სიღარიბის დაძლევის მუნიციპალურ პოლიტიკას საქართველოში და მის მუშა-პროგრამის შედგენას.

მუშა-პროგრამაში ჩართული ღონისძიებების შესრულებადობის ასამაღლებლად, საჭიროა ქვეყნის რეგიონებში ღარიბებზე ზუსტი ინფორმაციის შეგროვება და ერთიანი „ბიზნეს-რეესტრის“ შედგენა კომპიუტერული პროგრამის სახით. ქვეყნის რეგიონებში აგრეთვე, უნდა ჩატარდეს ღარიბების ანკეტირება იმ პრობლემების წარმოსაჩენად, რომლებსაც მათ ბიზნეს-ინკუბატორები გადაუწყვეტენ. აღნიშნულ საკითხშიც ყველაზე კომპეტენტურები რეგიონული მმართველობა იქნება.

იმისათვის, რომ წინამდებარე ხედვა საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების დაფუძნება-განვითარების საფუძველი გახდეს, მართებულად მიგვაჩნია ქვეყნის რეგიონების ცენტრალური და მსხვილი ქალაქების მუნიციპალური ხელისუფლების მხრიდან, მათი აღიარება და შემდეგი ძირითადი ღონისძიებების გატარება:

1. რეგიონში ბიზნესის სწავლის მსურველ ღარიბი და უღარიბესი მოსახლეობის აღწერა.

2. ადგილობრივი მართვის ადმინისტრაციულ აპარატში ინკლუზიური სამე-წარმეო სკოლა-ინკუბატორების საქმიანობის მარეგულირებელი სტრუქტურის შექმნა.

3. სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების შესაქმნელად მეთოდიკისა და მუშა-პროგ-რამის შედგენა.

4. რეგიონის ეკონომიკური პრიორიტეტების გამოკვეთა და ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების პროფილის შერჩევა.

5. ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების შესაქმნელი სადამფუძ-ნებლო დოკუმენტების პაკეტის შექმნა; ქვეყნის რეგიონებში სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების შექმნისა და განვითარების სტიმულირების მექანიზმის შემუშავება და რეალიზაცია.

6. სამეწარმეოსკოლა-ინკუბატორებისგანსათავსებლადვარგისიმუნიციპალური გამოუყენებელი შენობა-ნაგებობების (და საწარმოო ფართობების) ინვენტარიზაცია და მათი სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორებზე გადაცემის და გამოყენების მექანიზმის დამუშავება.

7. განაცხადებისა და თხოვნების მომზადება ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც საქართველოში ტექნიკური დახმარების პროგრამებს ახორციელებენ ქვეყანაში სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორებისათვის საჭირო გრანტების გამოყოფის შესახებ.

8. იმ დამატებებისა და ცვლილებების პროექტის მომზადება, რომლებიც უნდა შევიდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებში სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორებთან მიმართებაში და მათი წარდგენა მთავრობაში.

9. დაფინანსების წყაროების ძებნა (წინადადებათა შემუშავება და განხორ-

ციელება).

10. საქართველოს რეგიონული ცენტრებისა და მსხვილი ქალაქების ბიუჯეტის შედგენისას ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების განვითარებისთვის საჭირო თანხების გათვალისწინება.

საქართველოს რეგიონებში სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების ქსელის შექმნა-განვითარების ჩვენი ხედვის პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებასა და მოსახლეობის დასაქმებას ჩვენს ქვეყანაში. ინკლუზიური სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორები იმ საშუალებად გვესახება, რომელთა მეშვეობით, მოხდება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ამის შედეგად ქვეყანაში სიღარიბის შემცირება და ქვეყნის ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა.

დასკვნა. სტატიაში განხილულია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების დაარსების საკითხი და იქ დამწყებ მეწარმეთათვის ბიზნესის დაწყების თეორიული და პრაქტიკული სწავლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე. მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა: თეორია და პრაქტიკა. თბ., 2004.
2. ხაბელაშვილი თ. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივები. დისერტაცია. თბ., 2018.
3. ბიზნეს სექტორი საქართველოში. თბ., 2024.

რეზიუმე

სტატიაში - **„საქართველოში სამეწარმეო სკოლა-ინკუბატორების დაფუძნების საჭიროების შესახებ“** - განხილულია ქვეყანაში რეგისტრირებულ და ფაქტიურად ამუშავებულ (ანუ მოქმედ) საწარმოთა დისბალანსის საკითხი და ამის ძირითად მიზეზად დასახელებულია ბიზნესის მართვაში პოტენციურ მეწარმეთა დაბალი პროფესიონალიზმი. სტატიის ავტორების აზრით, როცა რეგისტრირებულ საწარმოთა საერთო რიცხვიდან აქტიურია მხოლოდ 20-25 პროცენტი, დანარჩენი კი უმოქმედოა, და ეს ვითარება ერთეული შემთხვევა კი არ არის, არამედ, წლიდან-წლამდე მეორდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიზნესს ისეთი ადამიანები იწყებენ, რომელთაც ამის ელემენტალური ცოდნა არა აქვთ.

საქართველო 1991 წლიდან დამოუკიდებელი გახდა და დაიწყო სოციალისტური ეკონომიკის გადაყვანა საბაზრო ეკონომიკაზე. მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის დახმარებით გატარდა მრავალი ღონისძიება. ყურადღების გარეშე დარჩა მხოლოდ ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების საკითხი და იქ ადამიანებისთვის ბიზნესის სწავლება, რაც მასშტაბურად განხორციელდა პოლონეთშიც, უნგრეთშიც, ჩეხეთშიც და სხვაგანაც.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ამ საკითხის ორგანიზებას საქართველოს რეგიონებში. სტატიის ავტორები იმედოვნებენ, რომ თუ ეს საკითხი მოგვარდება, აღარც ახლადგახსნილ საწარმოთა 75-80% იქნება უმოქმედოდ და აღარც მოსახლეობის 40-45% - ღარიბი.

ON THE NEED TO ESTABLISH ENTREPRENEURIAL SCHOOL INCUBATORS IN GEORGIA

ZAIRA GHUDUSHAURI
Professor of Georgian Technical University

MARIKA OKROMCHEDLIDZE
Doctoral of Georgian Technical University

RESUME

In the article - "**On the need to establish entrepreneurial school incubators in Georgia" –** it is discussed the imbalance between registered and actually operating (i.e., operating) enterprises in the country, and the main reason for this is the low professionalism of potential entrepreneurs in business management. According to the authors of the article, when only 20-25 percent of the total number of registered enterprises are active, and the rest are inactive, and this situation is not an isolated case, but is repeated from year to year, it means that people who do not have the elementary knowledge of this are starting a business.

Georgia became independent in 1991 and began to transition from a socialist economy to a market economy. Many measures were taken with the assistance of the World Bank and the IMF. Only the issue of establishing business incubators and teaching people business there, which was implemented on a large scale in Poland, Hungary, the Czech Republic and elsewhere, was left without attention.

This article is devoted to the organization of this issue in the regions of Georgia. The authors of the article hope that if this issue is resolved, 75-80% of newly opened enterprises will no longer be idle and 40-45% of the population will no longer be poor.

Keywords: school incubators; entrepreneurial thinking; inclusive business.